

დამატებითი პირობები
 მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ვადის დარღვევისა და
 მაქსიმალური სიმძლავრის გადაჭარბებისათვის
 პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ

ქ. თბილისი, თარიღი ---- / ----- / 20-- წ.

1.	გამყიდველი უფლებამოსილია, მყიდველის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის მიმდინარე საფასურის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაარიცხოს მყიდველს პირგასამტეხლო, ვადაში გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
2.	გამყიდველი ვალდებულია არ გამოიყენოს ელექტროენერჯით მომარაგების შეწყვეტის უფლება მიმდინარე საფასურის გადახდის ვადის დარღვევის თარიღიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.	პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა ხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (ქვითარში დადგენილი გადახდის ბოლო დღის მომდევნო კალენდარული დღე).
4.	პირგასამტეხლოს გამოყენება არ ათავისუფლებს მყიდველს მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.
5.	თუ გამყიდველი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება, ხელშეკრულების მოქმედების ან შეწყვეტის მიუხედავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან მყიდველის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.
6.	მყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი მაქსიმალური სიმძლავრის გადაჭარბების შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს დაარიცხოს პირგასამტეხლო: <ul style="list-style-type: none"> • არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს - მიერთების იმ პაკეტის საერთო ღირებულების 10% ოდენობით, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ფაქტობრივად მოხმარებული ელექტროენერჯია. • საყოფაცხოვრებო მომხმარებელს - 100 (ასი) ლარის ოდენობით.
7.	მოთხოვნა დარიცხული პირგასამტეხლოს (პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი გადახდის ვადა) გადახდაზე აისახება შემდეგი ანგარიშსწორების პერიოდის ქვითარში.
8.	წინამდებარე დანართის ხელმოწერით, მყიდველი ადასტურებს, რომ აცნობიერებს და ეთანხმება წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების არსებობასა და ოდენობას, და ადასტურებს, რომ ისინი არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

ელექტროენერჯის მყიდველის ხელმოწერა: _____

ელექტროენერჯის გამყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

“ _____ ” _____ 20__ წ.